



სადაცაა სალაიფნავერა მარა ვაი

№ 45 1916 წელს მიმოხმე ფასი
 აპრილს, 6 გიორგ. ზამოსცემისა 15 კ



ლვ. დარჩიაშვილი



ნ. ეგლაშვილი

შინაარსი:

1, მეთ ური - თეატრის გარეშე	2
2, გ. ქუჩიშვილი - ელეგია	4
3, მახლას - ქალური თანასწორობა	5
4, სილოვანი - კრიტიკული შეტევა	4
5, კ. ძიძიძე - წარმავლობა	6
6, ი. მ. - წყნება	7
7, ა. ჭელიძე - გარდის ეკლეზია	7
8, კ. ჭიჭინაძე - შემოღობა	8
9, ქნარი - მოწმუნდდილ ცაზე	9
10, ი. თელი - სეკიანი მაგნეტი	10
11, ნ. ელიაშვილი - იძულებული	10
12, კლავდა ვაბუნა - ორი წლის თავზე	13
13, იოსებ არიმათიელი - ქართველი მოღვაწეები - გ. ახალციხელი	14
14, იაკო ტეტუნაშვილი - დედის მოთქმა	15
15, მარ. ხერხეულიძე - რისთვის შინა	16
16, ვ. ჯანიშვილი - კაჟმანი	17
17, სახიობა	

გიორგოზისთვის

თეატრის თუ არა გყავს მოახლოე, **ასაშენებლად.** თავი მოიმოხსლე, — სწორედ ჩვენზეა გამოჭრილი და ამ სიბრძნის თანახმად უნდა გავისარჯნეთ. ნიშნებიც სჩანს.

მაშინ, როდესაც ჩვენი თეატრის მამები ღვთისუფლის სიმშვიდით განისვენებენ, თვით საზოგადოებაში, ხალხში, რთგორც ქალაქში ისევე დაბა-სოფლებში, ქართული თეატრის აგებისა და ქართული სახიობის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაა...

და მართლაც, განა საზარელი არ არის, სამარცხენო და გულმოსაკლავი, რომ ჩვენს დედა-ქალაქში, ჩვენი გონებრივი აღორძინების შუაგულში არა გვექონდეს საკუთარი ტაძარი ხელოვნებისა, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ერთად ერთი ლამპარი, ჩვენი ერთად ერთი ყვარჯენი იყო და გამათვითცნობიერებელი იარაღი?!

ძველად, შავებულ დროებში ჩვენი ერის გარშემო მკერებელი და აღმაფრთხილელი თუ იყო სიონი, გელათი, ალავერდი, გარეჯა ანუ სხვა ბრწყინვალე ეკლესია — მონასტრები, დღეს უნდა იყოს ქართული ხელოვნების ტაძარი თბილისში, რომელიც უნდა შეიქმნეს ჩვენის აღორძინებას სვეტად...

როგორც თვეში უწყველად, როგორც ჩიტი უპაროდ, როგორც ქვეყანა უმზოდ ვერ გასძლებს, ისევე ჩვენ — ქართველები უქართულ თეატრად ვერ ვივარგებთ...

ამიტომაც არს, რომ თვით ხალხის შეილები — ქართველი ერის ძენი — სხვა და სხვა გემებს გვიწერენ თეატრის ასაშენებელ თანხის შესაკრებად...

ზოგნი, სამსახურში მყოფნი, გვჩვენებენ შემოვიდით ჯამაგირზე და წესებულ უწყებულ პროცენტს გადადებთ, ზოგნი — ერთ დროს ულად გავწეროთ წინ-ღვე შედგენილ სის მიხედულობით, ზოგნი — ითვი ფასიანი ლატარის გამართვას, რომლის თაობაზეც გასულ კვირას მოგილაპარაკეთა და რომლის განსახორციელებლად უკვე ერთი წრე დაფიქრებულ. ამ დღეებში ამავე საგანზე მოველაპარაკეთ #ახ. კლუბის# მამას ხლისთა საბჭოს

თავმჯდომარეს თავ. მ. ქავჭავაძეს, რომელიც გვირჩევს: ყველა დასახელებულ საშუალებაზე უკეთესი იქნება საქართველოში არსებულმა საკრედიტო დაწესებულებებმა (სასოფლო ბანკებმა და სხ.) თეატრის სასარგებლოდ შემოიღონ ნახევარი, ერთი ანუ რაოდენიმე პროცენტის გადასახადი მსესხებელზე. ასეთივე გადასახადი უნდა შემოიღონ კოოპერატივებზეცო... ამასთანავე ის აზრიც გამოვთქვა, რომ სოფლის ზოგიერთ ბანკსა და კოოპერატის უკვე განუზრახვთ თეატრის სასარგებლოდ ასეთი წესით ფულის შეკრება და თუ ყველამ ბეჯითად მოგვიდეთ ხელი, ორიოდე წელიწადში საკმაო თანხას მოვაგროვებთო.

ეს აზრიც, როგორც საყველთაოა იფასიანი ლატარიის გამართვა ფრიად ცხოველია და საჭიროა ჩვენი თეატრის გულმატყვიართ ამ აზრის განხორციელებას ყურადღება მიაქციონ. განსაკუთრებით კვლევით სასოფლო ბანკებისა და კოოპერატივის მწარმოებელთ: თითოეულად მსესხებლისა და მოვაჭრისათვის თითოობრივად პროცენტის გაღება დიდი არაფერია, მაგრამ ჩვენს საერთო საქვეყნო საქმეს-კი ფეხზე დაყენებს.

რჩევა ჩვენი და საქმე ჩვენის ქვეყნის ერთგულ შვილთა: — იმ რა უფრო საჭიროა დროა ამდენი წერისა და ლაპარაკის შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ; თუ ჩვენი რწმუნებულ რჩეულნი არა ჰპატრობენ მინდობით ქართულ თეატრისაშენებელს საქმის თვით ხალხის რჩეულმა შეილებმა უნდა იზრუნონ ამაზე.

კლუბი

შემოდგომა... გულდასხურული დაგეტიალობო ყვირთ ქალებში; დაგეტიალობო ფიქრებ დაბურული და ცრემლი მწველი კრთის სემს თვალებში. ვიწ, რა კარგია უხმო ტირილი. და რა ტკბილია ჩუმი მოწყენა; ეჰ, რა ცუდია ჩივილ-ყვირილი, და ქირთა თვისთა ხალხში მოყვნა. ლენინობისთვის-22 **გ ქუჩიშვილი**



ქალური თანასწორობა

— აი, აქ დაბრძანდით. ძნელს არაფერს გადავალვით: ერთგვარი, თითქმის მექანიკური საქმე გექნებათ და, თუ გული აყურიათ და მოქცევით, დიდი შრომა არ დაგვირდებათ.

— მე შრომისა არ მეშინია, პირიქით, სამსახურში იმიტომ შემოვედი, რომ ჩემი შრომით ვიცხოვრო და იქნებოდა მდგომარეობა მოვიპოვო, რომ ცხოვრებაში და საზოგადოებაში მამაკაცთან ერთად სრულიად თანასწორი ადგილი დავიკვირო.

თვალი გადავავლე. ისე იყო მორთული, იმისთანა ძვირფასი ტანსაცმელი ეცვა თითქო სსახურში მიბრძანდება სამეჯლისოდაო.

— თქვენი შრომით იცხოვროთ?! თქვენი ჯამაგირი, მგონი, თქვენს ფესვსაცმელსაც ვერ აუვიდეს.

— ეგ დღეს. მომავალში, იმედი მაქვს, მეტს დავიმსახურებ და სხვის ხელში შემოტყეპილი აღარ ვიქნებო.

საქმე გაიცნო, მაგრამ საქმის უმაღლესი თანამოსამსახურე ქალბები.

საქმეს უკვე თითონ აწარმოებს, სხვის დაუკითხავად, მაგრამ რაღაცა უქმეყოფილება ეტყობა. მოუსვენრად არის, თითქო აწუხებდეს რამე. სულ ტოკავს, სულ ცმუკავს; გეგონებათ, ნემსებზედა ზისო. წამ და უწუმ წამობტება, გაეარდება აივანზედ, გაიყვანს ვისმე ქალს და ლაპარაკობს.. ლაპარაკობს უბოლოოდ!

ახლად მიღებული დროზედ მოდიოდა, ახლა კი სულ მეტსა და მეტს იგვიანებს. სამსახურიდანაც ყველაზედ ადრე გარბის. ხან სულაც არ მოდის, — შეუძლოდ გახდითო. ერთი კვირაა, არსად არის. საქმე გროვდება, სხვებსაც აფერხებს.

— ოჰ, მობრძანდით?! ვეცო, ვეცო. შეუძლოდ ბრძანდებოდით. აბა, ჩაუჯექით და რაც შეიძლება მალე უნდა საქაროდ მოაწესრიგოთ ყველაფერი, თორემ დაუსჯელად ვერ გადავრჩებით მის აღმატებულებას.

— ღმერთო ჩემო! მთასავით ქაღალდები დაგიტოვებიათ, ყოველ დღე ახალ-ახალ და-

სტას მომიბტებთ და როგორ უნდა მოვასწესრიგო?

— ვისი ბრალია, მერე! რიგინად რომ მოექცათ თქვენს ვალდებულებას; არც ამდენი მოგფროვდებათ. ზოგს დღე გააკეთებთ, ზოგს საღამოზედ, ან შინ წაიდებთ.

— შინ სამაგისოდ არა მცალია! განა არ შეიძლებაოდა, მაგენდოთ ვისთვისმე?

— აქ ყველას თავისი საქმე აქვს და შინ სამაგისოდ არაფერს მოიცილის.

— მე კი იმედი მაქონდა, რომ ჩემი ამხანაგები...

— კარგი, თქვენმა მზემ თქვენ ისე იაროთ და ამით თქვენი საქმე გააკეთებოთ, ეგ შეუძლებელია!

— შესაძლებელი გახლავით, რომ ამხანაგობა იცოდნენ, მაგრამ ვაი, რომ ამხანაგობისა არა ესმით რა.

გამირისხდა ქალბატონი, მეტუტება, მიბღვერის, უფრო ხშირად აკლდება სამსახურს, უფრო მეტი რჩება გასაკეთებელი.

უკვე გაეჩვია და საღამოებზედ აივანზედ აღარ გადის. დაჩუმებული, პირმოკუმული ისე ვერ გასძლებს, როგორც უწყლოდ თევზი. დატკრილებს მთელს ჩვენ შენობაში და ლაპარაკობს, ლაპარაკობს! მთელი ქვეყნის ამბები იცის, ქვეყანას იცნობს... ცოცხალი გაზეთია, მეტყველი გაზეთი! ახლა კი ვეცო, რაღაც ცმუკავდა, თავის ალაგს რომ იჯდა: სათქმელი აწუხებდა! ვფიცავ, თუ დროზედ არ დაროშა, თავისი დანებრთება! ზის და როშავს! რა გინდათ ამან არ იცოდეს? ვინ რითი ცხოვრობს. ვინ ვის ირთავს, ვინ ვის უიყვება...

ხომ არ იტყვის. — ამბობენო, ან გამოვიწინო. არა, რაღაც ამბობს, ისე ამბობს, როგორც ფაქტს. უტყვარ ფაქტს, თითქო თავის თვალთ ვნახოს.

— კიდევ დაიგვიანეთ? თორმეტი სრულდება...

— წუხელ ძალიან გვიან დაგებრუნდი და...

5251

გვერდები
24-25

— ეგ ჩემი საქმე არ არის. როცა გნებავთ მაშინ დაბრუნდით, ოღონდ სამსახურში დროზედ მოდით ხოლმე.

— მე ცოცხალი ადამიანი ვახლავართ და არა მანქანა, რომ თქვენი ბრძანებისამებრ დავწვე და ავდგე. თქვენ რომ გკითხოთ, ღამეც აქ დამიჭერთ და ამ ქაღალდებს მაჩვენებთ. არა, ქალბატონო! ღამე ჩემია და როგორცა სურს, ისე გავატარებ.

— კი, რატომო! როგორცა გსურდეთ, ისე გაატარეთ, ოღონდ თქვენს საქმეს დროზედ მოხედეთ.

— ენე იგი მამლის ყ ვილისას აქ ვიყო, განა?! არ შემოდინა! მე სამსახურში ვალავართ და არა კანტორკაში!

— ახ, აღმერთო:

— თქვენ, ბატონო, რალცა გაქვთ ჩემ წინააღმდეგ, შარს მიღებთ, მღვენით! ბარემ პირდაპირა ბრძანოთ, რომ წინააღმდეგი ხართ ქალის შრომისა და ქალების თანასწორობისა.

— არა, აქ ლაპარაკით, თხოვნებით და ჩაგონებთ არა გაზოგოთ. უნდა დავითხოვო, მეტი ჩირა არ არის.

— უკნასკნელადა გთხოვთ, თქვენს საქმეს მოუტარეთ, თორემ ძულელბული ვიქნები მისი აღმატებულებას ვენახო და..

— მე უკვე ვნახე მისი აღმატებულებას წუხელ კრუეკში ერთად ვივანშვით, მერე ავტომობილით გავსერიცთ და..

— და მთელი ღამე არ დაგაძინათ, განა?

— დიად, ძალიან გვიან დადებრუნდი და დღესაც იმიტომ დღვიგვიანე.

— ისე რომ..

— დიად!.. დიად! სწორედ იმ ტომ დავიგვიანე.

— მაშ გე იყო თქვენი შრომა? აქ, კი ბრძანებდით, შრომით მიინდა მოვიპოვო თანასწორობაო. ოპ, ნეტავი მართლა სრული თანასწორობა სუფევდეს და მისი აღმატებულების სავარძელში, ერთად დარბისელი, დამჯდარი ქალი იყოს გამოჭიმული.

— რა კარგი იქნებოდა? მკარამ არა, მოიაზრებო... ქალი მის აღმატებულების აღა-

გას?! ღმერთმა დაგიფაროს! ღმერთმა გვიხსნას!!! ეგ, ბატონო, თანასწორობა კი არა, სრული დამონაგება იქნება ქალისა, საცა კობტა ძიქია, მის აღმატებულების მანუგეშებელი შეიქნება და ქალებს შრომის მეტე აღარა ელირსებათა. არა ბატონო, მაგისთანა თანასწორობას მე დღევანდელი დამონაგება მიჩვენია.

მახლას

კრიტიკული შეცთომები *

1

მეც ვიტყვი

დიდი ხანა არ არის მას შემდეგ, რაც კრიტიკული წერილები ჩვენს ლიტერატურაში სწრაფად იყო საქმარაა მე-19 საუკუნის ჩვენს ჟურნალებში ათასში ერთხელ თუ შეხვდებით კრიტიკულ წერილს—და ზოგაერთი ჟურნალი სრულიად მოკლებული იყო კრიტიკულ წერილებს.

დღეს კი სულ სხვაა დღეს „კრიტიკოსები“ თითქმის ისე მომრავლდენ, როგორც „მგონებები“, და თითქმის უფველ „მგონებებსა და სხვაგვარად თქვალს თავისი „კრიტიკოსი“ უფს, რომელიც კარგულად ხელზე მის მფარველობას, პატრონაჟს, ახალგაზდა ქალისაგან „სალიტერატურო სფეროში“ გამოეყანას და გახიანებას.

მე არაფის მფარველობას არ გვირუკობ და არცინ გამოიყვანს „სალიტერატურაში“, მაგრამ მაინც მინდა ჩემი კრიტიკული შეხედულება შეთხვედრებს გავუზიარო.

კარგაო მესმის, რა ძნელი საქმედ არის კრიტიკოსობა. ნამდვილი, ჭეშმარიტი კრიტიკოსი დიდად განვითარებული უნდა იყოს გონებრივად, ფილოსოფიურად შედინერებით აღჭურვილი, დიდი მტოდნე წარსულისა და თანამედროვე ცხოვრებისა, კრიტიკოსი დიდად მახვილი „სმენა“ უნდა ქონდეს, გულის სმენა—შემგნებელი სიღამაისის, მშვენიერებისა.. და უფვა ეს თვისებებ არ გამარა: ამდენი სიმიდართი ადსავსე კრიტიკოსიც ნამდვილად სამსახურს ვერ გაუწევს

* ამ სათაურით რამდენიმე წერილი დაიბეჭდება სადაც განხილული იქნება ზოგიერთი ჩვენი მწერალის ატორი.



კრიტიკას, თუ მას წმინდა სინიდისი და გული წრფელი თან არ ხსდვს.

აიხან კი დღეს ამისთანა კრიტიკისები?

არა თუ ჩვენში, უფრო განთლებულ ქვეყნებშიც აშკარა კრიტიკოსი სხნთლით საქებარა. დღევანდელ კრიტიკაში სასოკადლოთ ქველგან სუბიექტური გრძნობა, პირადი სიმპატია და სხვაობა სჯარბობს—და ჩვენში ხომ, განსაკუთრებით მას შეშდეგ, რად უნარტიობი“ განდენ, კრიტიკამც უმთავრესათ უნარტიობი“ სხსათი მიიღო. ხშირია იმისთანა მოვლენა, რომ უკრიტიკოსი უთავისი უნარტიობი“ უწაწკინტელა მწერალს ცამდი ახმდღებს და ადღებს, უსხვა უნარტიობს“ კი რივიან მწერლსაც—მიწასთან ასწორებს. ამდებებს, უმისხრათ ივლებსა. ხშირია იმისთანა მოვლენაც, რომ პირათ რისთვისიე გობრახებულო უკრიტიკოსი“ ებდღვებ სხლმე თავის უგამბელსებულო მწერალ-მოღვაწეს, როგორც ქორიკაპისს, და კაწრავს, ქვლავს, ბრახის მორეუმი ახმბს... და უვლავ ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს ძველებურათ არავინ ღოცრულობს: უგული წმინდა დაბადე ჩემთანა, დმერთო, და სული წრფელი განმიახლე გემსსჩემსსა და სადაც წმინდა გული და წრფელი სული არ სუფევს, იქ სიამრთლესა და სიამრთლიანობას ადგით არ ქვს.

ჩემი-იერ სეგით დენიშნულს ჭეშმარიტი კრიტიკოსის თვისებებს სასოკადლოთ ვერ დავიჩემებ, მაგრამ ერთი დირსება კი არ შემიძლია არ ადვიარო ჩემში სახელადობ—გულწრფელობა: იმას ვიტყვი, რაც მწამს, რასაც დამშვიდებულო გულისთა ვგრძნობ.

ამასაც კი ვიტყვი, რომ დღევანდელი კრიტიკა ხშირათ სდონის უკუდღუტების“ მსჯელობას მოვავრთებს:

- კენიან, წაიკითხეთ ეს წიგნი? (უთოთ რომანსე იქნება ლამარაკი!).
- წავიკითხე! აჰ. რა საუტხოთა!
- მანინ რა ნახეთ მოსაწონი?
- აჰ, ნუღარ მკითხეთ, შუედარებულოთ,— უმასხებებს კენიან და საბუთად. გულსე ხელს დიდებს. ან, თუ არ მოსწონთ, გიამსუხებენ:

„ფუ, საქაცალოთა— და ტუჩს აბზუხებენ. ჩვენი კრიტიკოსებიც ხშირათ იქვეიან ასე: ამასწერენ გასარჩევი ავტორიდან გქელ-გქელ ტიტატებს,

წინ წაუმიდგარებენ სხლმე მოწონების ან დაწუნების უამომსატველ ფრახებს: „აი რა საუტხოთა უნარტიობა!“ ან: „აი რა მახინჯი ნაწარმოებიაო“—და მორჩა და ტათვდა!..

ასე გამოდის, რომ კრიტიკა თითოეული მკითხველის პირადი შთაბეჭდვება უოფედა, რომელიც არ ოპიბით გამოისატება ან ფუბიბით... დე ასე იფოს: მერ ვიტყვი ნემს ოპს ან ჩემს ფუს. უოველ შემთხვევას ეს ჩემი ოპი და ჩემი ფუ შედეგი იქნება ჩემი წრფელი რწმენისა და არა შეკობრული სიყვარულისა, გინა შტრული სიძუფეღლისა.

II
„მიეცით კენიარა კენიარისა და დმერთისა ღვთისა (Suum cuggie)

დიდი უბედურებაა, რომ დღეს ჩვენში მოღვაწეებს დირსეულათ ვერ აფასებენ. თამამთ შეიძლება ითქვას, რომ არსად დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი უდასჯარბებულო დაფასება მოღვაწეებისა, როგორც ჩვენში,—უდასჯარბებულო შეფასება როგორც დირსებისა, ისე ნაკულუღვანებისა, მადლისაც და ცოდუებისაც. ან ცამში უნდა განავარდლოთ, ან ქვესტანელში უნდა ჩავფუდოთ: ზომიერების სასდვარა ცას და ქვესტანელს შუა ჩვენში არ არსებობს.

როდესაც აქიმი თოფურია უდაინცვლად, 100-მდი გვირგვინი მიართვეს. იმავე ხანებში უდაინცვლად რუსეთის ცნობის დუღეტისტი ანტიონ ჩეხოვი—და მსოფლო 70 გვირგვინი მოუვიდა. დამახასიათებელი ფაქტია ჩვენი შეტენების განსეგრებულო თოფურიას მოღვაწეობა თავის დროსე მქონდა განმარტებულო—და აქ ადარკავიშორებებ. თუ გნებავთ, დავეთანხმოთ იმას, რომ მისი მოღვაწეობა ნუფოფიერი იყო. დავუპირდამბრუო ერთმანეთს ეს ორი მოღვაწე და ნიშანი მათდამი სასოკადლოების უკრიტიკებისა: 100 გვირგვინი უწაწ სასოკადლოებისაგან ვიწრო ფარგალში მოღვაწეს—და მსოფლო 70 გვირგვინი უსარმახარო რუსეთისაგან ჭეშმარიტათ სხელოფან მწერალს!..

რომელიე მოღვაწის თუბილეს ან დასაფლავების დროს ხაღხის ასე უსახდერო აფრთოფავება ზოგავრთს შრომეტვის ნიშნათ მიანია. მე კი მგონია, რომ ეს არის უტყუარი ნიშანი ხაღხის განუფიარებლობისა, შეუტენებლობისა.

განვითარება და შეგნება მამის არის, როცა კარგისა და ზვის გარეყვას, როცა გუარანის კარგისაგან აზრევენ, კარგს — წარჩინებულისაგან და წარჩინებულს კიდევ — დაიდებულისაგან. და როცა უგულსუ ერთნაირათ გაჭკვიან — დაიდებულს განუმარჯოსო, როდესაც ხშირათ ავასუკ წინამძღოლელებსაც კი აშკარა უფსკრულისა და სხეობრივი ტლამასკენ ნდობით მიეყვებან, — მამის ამეუხადისა კეთილი, თუნდ გენიოსის მიმართაც, განუმარჯოსო — შეგნებათ არ წაითვლება: ეს მხოლოდ ურუთ სსეკის თვისის აუღლას, ჯოგობრივი გამოხსაურებაა შეგნება წინამძღოლებისა, და თუ ათსში ერთსელ, რაგინი წინამძღოლის მეოხებით (ას, რა იშვიათათა ამეგარი წინამძღოლი!), ასეთი უკან ურუთ გუოლას მტრეთადენ სარგებლობას შოიტანს, სამაგურათ ცხრას-ოთხმოც და ცხრამეტჯერ ხადხი ხრამში ჩნდება, ვინაიდან ნათქვამია: „ბრმა ბრმას თუ წინაუძღვიან, არნივეუ მისრუბლას შთაცვივან“ —.

„მიეგით კეთისასა კეთისას და დმურთსა დეთისა“ — არა მარტო ნავთიურ სასლადურსუ ითქმის ეს, არამედ სხეობრივსუც... ჩემის აზრით — უფრო სხეობრივ-მონადურსუ, ვიდრე ნივთიურსუ. მე ამასაც გეტყვით: ნივთიური სასლადური უგულს ერთნაირათ მიეცთ, უგულს ერთნაირათ უსაწილეთ სასლად სსეულისა და სასლად განებისა და სულისა, რათა იცოცხლდნ და შესაძლებელი კეთილი მოქალაქენი შეიქნენ, — ხოლო უგულს ერთნაირათ ნუ ეტეპებით აღტანებულად ტანის ტემით, ერთნაირი აზრითა და სეიმით“ — ამიტომ რომ —

„აგს რომ ავი არ ვუწოდით,
სასლადით რა დავარქვით?!“



სიკვანძო.

წარმავალობა

აწ ჩანვას ჩემსა ეწევა სევა...
ცხოვრების სენით დააჯადუებდა...
თუმც ერთსელ ივრც მთლხებით უღრდა
და მიჯნურს დამასს უშხით აშობდა...
წარვიდნენ დღენი სისხრულისა ..
გაჭკრა გეგმავი ბავშური გრძობა...
და ვით უყავიდი განაფსულისა,
ჩამოსკენა ჩემი სასლადსრდაბა...
კ. ძიძაძე

ჩვენება

ჰუძღვნი ჩ — ს — ს

I

ცა იღუმალი, ცა მშვენიერი
ცოდვილსა მიწას ზედ დას აქროდა,
და ანგელოსი წყნარ ლმობიერი
მუზლ-მოდრეკელა ღმერთს ევეღროდა;
გულ-მხურვალ ლოცვას დადუმებულთ
შორს არე-მარე ყურსა უპყრობდა,
შური და მტრობა გააფთრებულთ
იმ ლოცვის ძალით უკუღვებოდა.
შეწყვიტა ლოცვა უცხო არსებამ,
ფრთა ფრთას შემოაჭრა, განიავარდა,
ვითა სიზმარი — წმიდა ოცნება
გაჭკრა, გაფრინდა, ცას ვაღკარგა,
და კვალსა მისას, ჰაერს შეთინილსა,
ვარსკვლავთა გუნდი უცემციმებდა,
და ბადრი მთვარე, ვით დილა მზესია,
მის შემზაროდა, შუქსა ჰფენიდა...
ამ დროს გამოჩნდა განრისებულთ,
უგულსო, მძლავრი, უზარმაზარი
შეშა, — მოჭკროდა მოძულეებულთ,
სასტიკი, შაკივი, შეშაშიშარი;
ვით ქარიშხალი მიწას მოჭკროდა,
გარდუწყვეტია რაღაცა აზრი...
მხარობელი გარდაელობა:
„შესდექ, ზედ-კრულსო, გზა აღარ არი!“

II

„შავ ფრთებ-გაშლილი, შხამით დაცინვი
ემშა ანგელოსს დასწერებოდა,
ამაჟ კილოთი, გესლიან ენით
მედლიურის ხმით ეტუნებოდა:
— აროს ედემს ვიყავ — ერთ აზრს ვედ-
ტვოლი —

მსურდა კაცოთათის თავისუფლება,
რომ ამეზღოლა კაცი ღმერთანდი
და მიმენიკა თვით ნეტარება!
მე თუ ვცდებოლი, მაშ რისთვის შეჭკმა
აღმაიანი თავისა ხატად?
განა საზოთხე — თუ კი ხარ მონა
სამო არის — გინდ იყავ მფლობლად?!
მარტვი, რად არის კაცი დაჯილია?
იმისთვის რომა მე ღმერთს ვებრძოლი!
თუ საზიერ არს, რად ვარ დენილი?



მარტოდ იმისთვის, რომ არ დაფიქსირდეს!
ჩემზედ გამწყრალი კაცს რას ერჩიოდა,
ელემისიდან რომ განაძევა?

სამოთხის კარნი რისთვის დაჰკეტო,
ხმალით ებგური რად დააყნა?..
მგრა? მის რისხვის გამოფექცი,
მახვილი დარაჯს ძალით ავართვი,
ბა. რად გავლესე — კაცთ გარდავეცი
მთ განსწორონ მათ ურთიერთი!..

დახე მიწასა, რა რიგად ჰკენესი,
ხოლო ის კენესა — ჩემი ხოტბა,
იქ სიცოცხლე სდუნს — ხალხს ხალხს
ებრძვის

და იმ ბრძოლაში სიტკობება!
დაე სისხლის ღვრით, ომიან და ხმალით
თავსუფლება მათ მოიპოვნენ,
დე ლიტანჯონ განსადელითა,
რომ ნეტარება უფრო აფასონ!
გვრე ნაშოვნი თავისუფლება
ადამიანთა არ წაერთმევის

და, მენდეგ, მაშინ ჩემი რწმუნება
საშვილისშვილოდ გაქ დაცემის!..
ზეციით დევნილი, იმედ გამწყდარი
მიწას შთავერე ჩემი გონება.
ჩემი სამეფო ეხლა აქ არი
და კაცთა აზრს შემარჩილება!

უფლის კალთას ქვეშ, აღზრდილი ბალო,
შენ ვერ გაიგებ ჩემს სულის ლტოლვას,
ტყვილად გგონია, უგნურო ბავშო,
მიხვდე კაცთ ტანჯვას, მათ გულის ზრახვას!
გზა უსუსურო!!!.. გადიხარხარა,..

მხარობელი არ დახეულა,
ემშას თეთრი ფრთა გადააფარა
და თამაზადა გამოესარჩლა: *)

— "ეშმავე, შენ სცდები — ეგეთი მცნება
პატრო არის — ხოლო მსახვრალი,
იწამე რომა შური და ბტრობა
ამაო არის და წარმავალი.
მჯერა, რომ კაცო ჯერ კიდევ ბრმა არს

და ხოლო შენ აზრს ემოჩილებო,
ნუ დაიფიქრებ — მაღლი ქვეყნად არს,
ღრო მოვა — ყველა ეთაყვანებ!
ბრძოლით და ომიან დაღვრილი სისხლი
უამართლობას ვერა წაჭრეცხავს,
არამედ კაცი ეგრედ აღზრდილი
სულის სიმშვიდე სრულად დაჰკარგავს
კაცი, ყოველი, არსა, სამყარო
სიყვარულითა შექმნილი არის
"მოყვასი შენი რომ შეიყვარო"
უკვდავი მცნება აი ეს არის!
განსოვდეს კარგად, რომ სიყვარული
საძირკველია თავისუფლების!..
ეშმა ზაასით განრისხებული
ყურს აღარ უგდებს, მიწას ესწრაფს,
და კვალსა მისას ჰაერსა შთენილს
ვარსკლავთა გუნდა ეწოდებოდა
და ბადრი მთავარე შეშინებული
უკუნს იფენდა, დაბნელებოდა..,

1914 წ.

ი. მ



გარდის ეკლები

I ძეგალი

— შენ ეს მეორედ ერთი გარვანქა პუ-
რი მოგიტაცნია, გაქვეულობარ და ფული კი
არ მიიციცია.

— როდის ბატონო ჩემო, გუშინ თუ
გუშინწინ?

— გუშინ და გუშინწინაც... კანონმა
მოგისაჯა ერთი თვის ციხე, რადგან კერძო
საკუთრების მთავისება და დიდი სისაძაგლეს.

— ბატონო, მე იმის ნახევარი (ხვას გ-
დავეცო, ჩემზე უფრო მშობის, რომელსაც
სიმშვილი უშლიდა სირბილს. ფული კი არც
ერთს არა გვექონდა.

— ეგ სულ ერთია, კანონი იმას არ
ეხება გაქვს თუ არა. და შენ შეგეძლო იუ-
ნდა ძაღლებისთვის გექმნია. პასუხს მაინც შენ
აგებ.

— აი ჩემი პასუხი..

— ერთი თვის ციხე..

— და, იქ პური იაფია თუ ძვირი?

*) „спортсмен“: — ვერ გავაჩინეთ მართალი მისარ-
ჩლი, ვითაცოცხლით — შოთა რუსთაველ- თუმცა
ერისთავი საშობლოში ამბობს: „ჩემი ხმალი ესარჩლე-
ბა ჭებოდ და ოზღებს“, შეცდობაა დიდი. იმერეთში
რცელსარჩლობა — სარჩულიდან გონიან წამომდგარი-



— იქ ყველაფერი უფულოთაა. პურიც და... ხორცსაც მოგართმევენ...

— ოჰ, გმადლობ ჩემო კეთილო! მაშ იქ კი შევიძლებ პატიოსნურ ცხოვრებას.

II ღმერთებისა

— აჰა, უბედურო, საჩუქარი: სქამე, ჩაიცვი და დაიხუტე.

— არ მინდა.

— როგორ თუ?! ამისთანა დროს... უკმელ უსმელი, ეგრე დაძინდილი და ცივ ღოგინში გახვეულიყ.

— რატომაც არა! გიკვირთ?

— შე მსურს... მე ძლიერ წსურს დაგემარო.

— მართლა? თქვენ იქნება შეზიდვით ცის სამყაროდან მოსულხართ?!

— არა. დიდი ხანია გცნობ. აქვე ვცხოვრობ, ზემო სართულში.

— კეთილი!

— მიღე საჩუქარი.

— მოტა, იქნება მაგით კიდევ გაგრძიდეს ჩემი ტანჯვა.

— ღმერთო ჩემო!..

— ნუ გაიკვირებთ. იქნება რაიმე ცუდი გეგონება?

— ოხ. წაიღე რამდენიც გინდა: ათი ოცი და მეტიც...

— მგერა: გულკეთილი ხარ და მაშასადამე გულჩვილიც. აიღე და დამყარე ფეხებზე, იქნება გამოიბნეს. ო, როგორა მცივი!

— ფეხებზე?

— ჰო, მაჯის უმთავრესი ძარღვი გადავიჭერი და ვკვდები ვარდისფერ ოცნების ბურუსში გახვეული. აი, ახლავე... ერთი წუთიც და...

— აა, ძარღვი? რა სისულელეა ხომ მოკვდი და... შეიძლება გეც დაშარდდეს?

— იქნება... მარა შენს სიცოცხლეს და იცავს პაწაპაწა ბარათი, რომელიც დიდი ხანია დავწერე.

— დღათ გმადლობ. მაშ მე წავალ...

— მოიცადე... კარებში სიკვდილი დგას და შეცდომით... მაგრამ, წაიღეთ თქვენი ფულები. იგი ჰაწა მდინარეში მაინც ვაგუყვანთ, რომ ფეხები არ დაგისველდეთ საბედისწეროთ...

— მშვიდობით.

ა. ჭელიძე

შემოდგომა

სონეტი.

ეს შემოდგომა დანსლული, სახე მტირლი, როგორ მიათრევს მოწყენილად უფერულ დღეებს! შემოხვევია სამოსელი მინდვრებს და ტყეებს, ქარი იტაცებს ყვითელ ფოთლებს, როგორც ფირალი. მზე აღარ ათბობს სქელ ღრუბლებში გამოშხირალი, მიწა სველია. ორთქლი ასდის ყავარს ნაწიქიპარს. შევკაბიან ქალს ეუბნება ქალი სამშობარს, და დაქცეულ ბექს ეჭიდება ბუღა მყვირალი.

გაძრცვილ ნიგვზის ხეს შერჩენია სადღაც კაკალი, ბიჭი ქვას ესვრი, რტოს მოხედება, გააქვს კანკალი და ძრს ვარდება, გაეხვევა დამალ ფოთლებში...

სხვა არაფერი. არც სურათი მძიმე შრომისა, არც დროს ტარება. აღარ ისმის არსად სოფლებში მკვირცხლი მაყრული—ეს სილაღე შემოდგომისა...

კ. ჭიჭინაძე



ბოდბო. თ. ივ. იოს. ჯანდიერი მოკლეული რუმინაის ფრანტუკე გმარულა ბრძოლის დროს ენე. 21 1916





მოწმენდილ ცაზე

312

მოწმენდილ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავთა შორის,
 თვით ქვეყნის თვალი, ბადრი მთავარე გზას განაგრძობდა,
 მე-კი ცრემლებით ავსილ თვალებს არ ვაშორებდი,—
 მოკლული გული ნაღველის შეტს რაღას იგრძნობდა?
 თვის ვერ ვართმევედი შავბნელ ფიქრებს ობლად შეთენილი,
 არ მოველოდი არც მეგობარს, აღარც გულის სწ რს;
 იმედის სხივი ჩამქრალიყო ერთ დროს ნათელი,
 ტანჯული სულის დასძლეველ შორს ვიყავ, შორს, შორს.
 და მძიმე ჯვარი წამებია. როცა მიმქონდა,
 ვნახე სიკვდილი საზარელი, დაუნდობელი;
 ის ბასრი ცელით გრივადლივით ჩემსკენ მოჰქროდა,
 მაგრამ დამინდო და აიღო დროებით ხელი... **ქნარი**

სევედიანი მიჯნური

მგოსანი ალ. გარ. ჭავჭავაძე

(გარდაცვალებიდან 70 წ. შესრულების გამო)

მისი ლექსი შევებით, ლხენით
 ხან მეჯლისში შეფთრინდება,...
 ხან რბის ველად, პარტო ჭგალობს
 უღანაოში ვითა მწირი.
 შექვენესს შავ ბედს ქვეყნისასა,
 ქვეყნისათვის ანატორი...

ილ. ჭავჭავაძე

თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული (1787 წ., ზოგათა ცნობით—1786 წ.), დაობლებულ, ძაძა მობურვილ და ნაპუს ახილ მამულში აღზრდილი, აღფრთოვანებული სპარსულ სამიჯნურ-სატრფილო ჰანგებითა, რომელთა წუთისოფელი სანავარდო ბაღად მიუჩნევით და ვეროპიის ღრმა მოაზრეთა ნაწერებით გაბრძობილი, დიდი კაცის—საქართველოს დესპანის გარსიენ ჭავჭავაძის ძე და ნათლული რუსთა დედოფლის ეკატერინა დიდისა,—აი ვინ იყო ჩვენი მგოსანი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

თავისუფლება-დაკარგულ სამშობლოს ნადედათ დათფრადი და მისივე სიშწაფით გამძღარა, რომელიც საქართველოს გასანთავისუფლებილ მომბდარ შეთქმულოებაში მონაწილეობისათვის შორეულ ციხე ქვეყნებში გადასახლეს და ძალით ჩაუხშეს ტრფიალემა მამულითა,—აი ვინ იყო ალ. ჭავჭავაძე.

იგი მარაღა რომ ბედს სათამაშო ბურთად გარდაქციენა.

ჯერ დევნა, შევიწროება, მერმე მოწყალეობით მოპყრობა უმადლესი მართებლობის მხრით, სამსახურში დწინაურება, სხვადასხვა ომებში (რუს-ფრანგთა 1812.-14 წ წ. ომ-შიაც კი) სახელოვანად მონაწილეობა, სხვადასხვა პასუხსაგებ კომისიის თავმჯდომარეობა, მთავრობის მინდობილებათა ბეჯით აღსრულება, ახალ შეთქმულობაში მონაწილეობისათვის მეორედ გადასახლება, დიდთა კაცთა დამოყვრება, მალაღსკელა და ბოლოს საუბედლო სიკვდილი (1846 წ. ნოემბრის 5 მისი ეტლი ცხენებმა გაიტაცეს, გადმოვირდა, გონება დაჰკარგა და იმავე დღეს გარდაიცვალა თბილისში),—აი, ვინ იყო ალ. ჭავჭავაძე...

იგი თავის დროის კვალობაზე ფრიად განვითარებულ-ნაკითხ და მოწინავე კაცად ითვლებოდა. ალ. ჭავჭავაძის საზოგადოებრივ—სამწერლო სარბიელზე გამოცელის დროს ჩვენში სპარსეთის მწერლობას ჯერ ვავლენა არ დაჰკარგოდა, ხოლო ვეროპოელი განათლება ფესს იკიდებდა; ამიტომ ა. ჭავჭავაძემ ერთნაირად შეისისხლობოც საფრანგეთის ფილოსოფოსის ვოლტერის სექტიციხში და სპარსელ მგოსანთა გრძნობიერება. მისი ორიგინალური ლექსები სატრფილო, სასიძღერო და გულის მომწყველელ ჰანგითაა გაფლენილი, გრძნობათა მიმოხერის დამახასიათებელი.

ორიგინალურ ნაწარმოებთა გარდა, სთარ-



გმნა: სპარსულიდან საადისა და შაჰვზის ლექსები, რუსულიდან პუშკინისა, გერმანულიდან — ჰეტეისი, ფრანგულიდან — ვოლტერის „ალ-ზირა“, რასინის — „ფედრა“, კორნელის — „ტანა“ და ჰუგოს რავდენიმე ლექსა.

გარდა ამისა, დაწერა „საქარ-ველოს 1801—1831 წწ. მდგომარეობის განხილვა“, რომელშიაც აღნიშნულია ზემოხსენებულ წლებში მომხდარ აღდგენებთან მიზნები.

ქვეყნადის ნაწარმოებნი პირველხანად ხელნაწერად ვრცელდებოდა, (1829—32 წწ. ს. დოდაშვილის, გაზ. „თბილისის უწყებან“ში თანამშრომლობდა, აქ დაბეჭდა პუშკინიდან ნათარგმნ. „ოცენბა“.) მესამოცე წლებიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და კრებულებში იბეჭდებოდა; ცალკე გამოიცა 1881 წ. სრული, ღირსეული გამოცემა ჯერ კიდევ არ მოიპოვება.

ი კ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი

გაგრძელება იხ. „თ.

ალ. ქავჭავაძე ცნობილია, ვითარცა შესანიშნავი ოჯახის მამა: უფროსი ქალი ნინო მიიზოვია რუსის გამოჩენილ მწერალს ა. ს. გრიბოედ-ვს, „ვაი ქკუსიავან“-ის დამწერს, მეორე ასული — ეკატერინე (1816—81) სამეგრელოს მთავარს, მესამე — ს. ფო ბარონ ნიკოლაის. შეილი მისი დავითი იყო, რომ ოჯახობიანად ტყვედწაიყვანა შამილმა ნი-იან წლებში. დავითის ასული თამარი აღექვანდრე ბატონის შვილის შვილს ერეკლეს ჰყავდა. მისი მამულები კახეთის საუკეთესო სოფლები წინანდალი, ზუკუხანი, ნაფარული და სხ. საუფლისწულო უწყებაში შეისყიდა.

ალ. ქავჭავაძემ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენს მწერლობას ივალსაინო გავლენა დაახინა: სამიჯნურო, მაგრამ სევდიან ძისალი ჰანგი ჯერაც კიდ ვ ჰედერს ჩვენს ეგრედ წოდებულ სატრფიალო დ რგინ ნაწერებში.


ი. — თელი

და ც. № 44

დონ-იმ (შიდაის დაბადების კადახანსა, ფარდას მისწევს გვერდზე, გააღებს კადახანს და ვაშა-დებს იქიდან წიგნს. დივგას და კლარას) შეხედეთ ამას, ჩემო საყვარელო შვილებო; ხედავთ ამ დიდ წიგნს? იკით ეს რა არის? — ეს არის ის წიგნი, რომელიც დემეტრე მოგვს ჩვენს, ებრაელებს. ამ წიგნში ავციწერა დემეტრე თავისი წმინდა სჯული, კეთილი კანონები და მაღალი მცნებანი, რომ ის კაცი, ვინც-კი იცხოვრებს მის ბრძანებშია მებრ, იქნება ბედნიერი მთელ თავის სიცოცხლეში, და ყველა ებრაელი მოვლეთ აღასრულოს სუველასფერი რაც კი სწერია ამ წმიდა წიგნში, ვინაიდან მხოლოდ ეს-ღა დაგვრჩენია ყველა ჩვენი საუნჯიდან, რომელიც გვქონდა წინედ ჩვენ მშვენიერ ქვეყანაში. ეს წიგნი გვიქადაგებს კარგ და კეთილ კაცად ყოფნას, ყველა კაცის კეთილისა და წყალობის მიზღვის, მორიდებას კაცის ბოროტთა ქნიდან, ღარიბთა და უმწუთთა შებრალებას, შებრალებას გვემუღთა და დავრდომილთა; ყოველი კაცთა შეყვარებას და ყოველ ადამიანთან მშურად ცხოვრებას. კიდევ ბევრი სხვა კეთილი, წმინდა აზრები და დარგებანი სწერია ამ წი-

გნში, — რს სწავლასაც დიწყებთ დღეის შემდეგ. ერთი ამ წიგნთავანი მოგეცემათ, ჩემო შვილებო, საჩუქრად. თქვენც უნდა შეინახოთ, მუდამ იკითხოთ და იქნებთ ბედნიერი მთელ თქვენს სიცოცხლეში. ეს წიგნი დავიცავთ დროსა გაქიკრებისს; თუ რომ განსაცდელი მოგელოდეთ წაიკითხეთ ეს წიგნი, მოგონეთ ჩვენი დიდებული მრავალ მოწყალე დმურთ და ილოკუთ მის მიმართ — და ისიც ისმენს ლოცვათ თქვენსა და გისნით განსაცდელისგან. — ჯერ ახლა კიდევ არ იკითხა სწერია ამ წიგნში — ამ ტომ არ ძალგიძთ შეიგნოთ რა დიდი საჩუქარია ეს, რომელიც თქვენ ამალმ გეძლევათ. მხოლოდ როცა შესწავლით ამ წიგნს, მიხედვით როცა სწერია შიგ, — მაშინ ის დამე სახსოვრად დაშთება თქვენთვის მთელ თქვენ სიცოცხლეში, ვინაიდან ამ დამეს გარდაიქმენით თქვენ ებრაელად, შელოებდლ იმ დიდი ერისა, ერისა დვისისა. (ჰიკონის წიგნს და მაქქეს ემაწავლუბთანაც სავაგონელად).

დივგა და კლარა (ჰიკონის წიგნს. ეველა იქ მოუფინებ მიდიან თითო-თითოდ და ჰიკონიან წიგნს).



დონ იმან (წიგნის ისევ კიდობანში შეინახეს. კიდობანს ჰკეტავს, და ავარებს ფრადს და ბრუნდება უმწიფოლებთან). ესლა რას იტყვიო, შეილვბო, ყველა იმ სიტყვებზე, რომელიც მე გაამბეთ დღეს? გსურთ რომ იყოთ ებრაელები?

დიეგო. (ძალიან ადგუგუჟია. სახე აწითლებული აქვს შეტის-შეტი ადგუგუბისგან). უეკველა! უეშველა! დედა და მამაც ხომ ებრაელები არიან! შენც, ჩემო ბატონო, და ყველა ჩვენი მახლობელი და ნაცნობიც ხომ ებრაელები არიან! მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ებრაელი ვარ!

კლარა. მეც ძალიან მოხარული ვარ, რომ ებრაელი ვარ მე მირადის ებრაელი ვიქმნები. თავის დღეში არავის არას ვაწებ!

დონ იმან. (გადაჟიჯვს ორთაგვს თავზე ხელს დიდს ადგისთ). ფერე, ეკრე, ჩემო საყვარელო შეილვბო! დარჩით მირადის ებრაელი და ელოდეთ უფაღს.

დონ ალონსო. (სტუმრებს) აბა ახლა, ბატონებო, პატივი გვეცით და დაუბრუნდით ყველა თქვენ-თქვენს ადგილს. (ფერხანდა მისხურს). ფერხანდო! მიდი და მოიტა ეს საჩუქრები, რომელიც დამზადებული გვაქვს ჩვენი შეილებისათვის.

ფერნ. (მიდის გამოქვაბულის კუთხეში და მოაქვს საუკეთესო სჩუქრები. სტუმრებიც გადასტუმრებენ უმაწილებს ბუნჯირ ძვირფას საჩუქარს, რომელთაც ეს უკანასკნელი დამტრეობიან და ასახე უბრწიანათ დიდის ნეტრებით).

დონ იმან. ყველა ეს საჩუქარი, ჩემო ძვირფასო, ძალიან კარგი და საუცხოოო საჩუქრებია. მაგრამ შეიღ-ბომ უფრო კარგი და საუცხოოოა ის საჩუქარი, რომელიც პორეღეში გრთავაზეს თქვენმა მშობლებმა: აი, ეს წმინდა წიგნი, რომელიც იქ არის. (უჩვენებს კიდობანზე). ოდეს ისწავლით, გაიზრდებით და შეიგნებთ, მაშინ მიხვდებით რა დიდი საჩუქარია არის და ამ საჩუქრებზე უფრო მეტად გავრზადებთ ჩემი საჩუქარი კი ეს არის შენთვის, დიეგო! (აძღვებს თეფიანს¹⁾ მშვე-

ნერი შადითთ, რომელზედაც მოაქრეულები ებრუი ასოებო). ეგ ასოები შენი სახელია და შეგ შალითაში კა თეფილინია, რომელსაც თავს დაიდებ ყოველ-დღე, როცა დადგები სალოცავად უფლის წინაშე. მაგ თეფილინშიც კეთილი და წმინდა სიტყვები სწერია, რომლის შესწავლისაც ხელიდან დაიწყებ.

დიეგო. (გამბორება ხელზე მასწავლებელს) გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო მასწავლებლო, ამ მშვენიერი საჩუქრისათვის.

დონ ალონ. (ფერხანდს) მოიტა დევი და აიღე ზეითი და უბრძანე მისხურთ, ვახშიამი მოგვარათვან.

ფერნ. (მარბიშვს ჭიქებს უეგა მარწეგუღთ, სეაგენ „სადგუგუგულებს“, ართშეგენ ერთმანეთ ხელს და უფორბეგენ ბუნჯირად, განსაკუთრებით ამ ღოფეთ: „შომავად წელს შორს ისმანის ქვეუნიდან!“—ამ დროს მიდის ფერხანდა ნელ-ნელა კიბის საფეხურებზე, ყაყარტუნზე დაფრნობილი და ოხრავს სან გამოშეგებით: „ჰო,—ჰო—ჰო!“ რას მიატანს ზემო საფეხურამდე და მოჭიდავს ურდულს ხელს განსაღებათ, მისმის უნდა ბრახუნის ხმა გამოქვაბულის ზეგით კარდან. ფერხანდა დაიწევს უკან შექრთადე, ჩამოგარდა და მოგორავს რაფდენიმე საფეხურიდან, რის ვაი-ვავაღასთა შეიმაგრეს თავს ერთ-ერთ ქვემო საფეხურზე მაიდასთან მისდომნი ძალიან შეძრწუნდებიან. რადენიმე სტუმართაგანს გავრდება ჭიქა ხელიდან, სუეგლანი წამოიშლებიან თავანთი ადგილებიდან და შეჭურებენ დახეულნი ერთმანეთს და ზემოთა კარებს, რომელიც ჭერძია. სუეგლანს სახე გამოხატავს შეძრწუნებანს და შიშს).

დონ ალონ (შეკრებილთ განცილდება და კიბესთან მიდის. სმა უკანავალებს დაკითხვის დროს). ვინ არის მან?

ხმა სცენის ზევიდან. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, სახელითა ჩვენი დიდის მღვდლის წმიდა ტორკვემდისათა და დადგენილებითა მეფისათა, გიბრძანებ შენ, დონ ალონსო დემენდოსა, გაალო კარი!

დონნა ლაურა. (შეჭიებებს საშინელის ხმით და დაკრება ძირს გულ შეჭხებუელი. დავდებამე სტუმართაგანი მისცვიებებან მოსაბრუ-

¹⁾ თაფილინი—სალოცავი ნივთი, რომელსაც ცამების წლის შემდეგ ყველა ებრაელი იღებს თავსა და მკლავზე ღოცვის დროს.



ნებლად. დანარჩენი სტუმართაგანი იწყოებენ სანაღებეს ქრობას, საშინელი ჩინოვნიკი ატულებს უნებლად მთელ თათხში, უკუა სტუმარნი კარბი. გამობრბან აქეთ-იქეთ, თითქოს ექებენ როგორ გაჯანჯარინონ თავი).

ხმა სცენის ზვიდან სახელთა მამი სათა და ჭიათა და სულისა წმიდისათა, სახელითა ჩენი დიდის მღვდლის წმიდა ტორკვემადისათა და დაღვნილებითა მეფისათა გიბრძანებთ შენ, დონ-ალონსო დემენდოსა, გაალო კარი! (ეს ხმა განმეორდება რადეანქრემე. თანდათან უფრო შაშის ზაზას დაძვნივა. კარებზედღე თანდათან უფრო ძლიერდება ბრახუნა).

დონ-იშან. (რომეოდენ აქამდე დაბნეული იდგა, გამოეკრევა უნებლად და შიშობათვის შეკრებად). ძმანო! მომისმინეთ რაც უნდა გითხროთ! (სუუვლადნი მიახედავენ ამისაკენ და ელიან რას იტყვის) როგორც ხედავთ ყველა ჩვენ ახლა ხელში ჩაუკვივდით ინკვიზიციას, როგორც სჩანს, ღვთის ნება ყოფილა, რომ ჩივედღეთ ჩვენ ამნაირ მიძიმე და მწარ განსცდელში. ჩვენ ახლა აღარსითა გვაქვს სახსენელი და თავ-შესაფარი. გაწინააღმდეგება ჩენი სულის ტარტაროზებთან და მათთან ბრძოლა შეუძლებელია, რადგანაც ახლა აუცილებლად მთელ სახლს გარს არტყან შეიარაღებულნი ჯარის კაცნი. ჩემო ძვირფასო ძმებო! მოიკრიბეთ ძალა და განხედით ამ უკანასკნელ მწარე წუთებში. ჩვენ არ გავლებთ მათ კარს, მაგრამ ისინი შემოვლენ. ხოლო მინამ კარებს დამბრკვევდენ, კიდევ მოვისწრებთ ჩენი მოვალეობის აღსრულებას, რომელიც გვძევს ახლა. (სტუმრები იკრებიებიან დაბადების კიდაბნას წინაშე. შიხუფი ფერხანდოღ ძლიერ-ძლიერობით აღწევს დაბადების კიდაბანამდე. დონ-იშანუელი მოიყენებს დეკოას და ელაზას გვერდით, გააჯებს დაბადების კიდაბნას და გადმოიდეებს იქიდან ერთ დაბადებას. ამ დოან მიქსის დასრულებამდე დაბადების კიდაბანა დაიჩნება).

ნ ელიაშვილი—ბენ დავიდ
(გაგრძელება იქნება)



ორი წლის თავზე

(ქართულა თეატრის შესახებ)

ორი წლის წინად გავეთმა გულწიგზობა რაგი ამბავი მამრო: „სტეკლმა შთანთქა და განაღდგურა ეროვნული ხელოვნების ტაძარი ქართული თეატრი“. უსახლგრო მწუხარებით შევხვდი ამ მწარე სინამდვილეს და მახსოვს კიდევ, რომ ვიცრემლებოდი. იმ დროს ჩემ წინ გაჩნდა აწ უკვე განსვენებული მამაჩემი და მკითხა: რა, ხომ ვინმე ჩენიანის სიკვდილი არ წერია მაგ გაზეთშიო. (გოონი არც ერთი ჩენიანის სიკვდილი მეტად არ აღმაშფოთებდა იმ წუთში). არა, მამა, მიუგე მე, თბილისში დამწვარა ჩენი ძვირფასი ქართული თეატრი—მეთქი. ნეტარ ხსენებულმა თევი გაიქნა და მითხრა: რა გატიარეს მერე, დიწუბა, მხოლოდ კვლები და არა ხელოვნება და მისი ქურუმნოა.

ეს სიტყვები ერთ მხრით საიმედო იყო მაგრამ განა არ ვიცოდი ჩენი „სისწრაფე“ საქმის მოგვარებაში, რომ დაღუპულის სამაგიეროს ღიღახან არ ვეღირსებოდით. ვფიქრობდი, აწი საღ უნდა განცადის სულმა ის კვაყოფილება, რომელიც ქართულ თეატრში განმიცდია ხელოვნების სისრულე—სისაღით მეთქი და სულ ცრემლები მეთაღრსებოდენ თვლებზე. 1914 წელი საშინელი შიკქმნა ჩენი ერისათვის: ვინ მოსთვის, რავდენი უბედურება დაგვაცყდა თავს ამ უკულმართ წელს; ვწყვეტილი გამბრახებული უმაგალითო ომს, თითქო მის ძლიერ ქარიშხალს გავდევინონ ჩენი ეროვნების საუნჯე—ქართული თეატრის შთანთქველი ცუცხლი, თუმცა, ვინ იცის, საიდან გაჩნდა ის ჩენი დამღუპველი ნაპერწკალი.

ღიღი ხანს არ გავუღია მას შემდეგ, რომ შესდგა თეატრის სააღმამენებლო კომიტეტი, გამოჩნდენ გულშემატკვარ—შემომწირველნი, რამაც ღიღი მემღი მომღინა გულს დაუპულ თეატრის სამაგიეროს აღდგენა-განახლებ სა.

განვლო ორმა წელმა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანს საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ის აგურები, მრავალ მხრიდან

რომ სწირავდნ და სწირავენ სამშობლოს გულ-შემატყებები. მართლაც სატირელი მქონია ორი წლის წინად, თუ ამდენ ხანს კარდა-კარ ვაწოწოილდებო ჩვენი სცენისა და ხელოვნების ქურუმთი.

განვლო ორმა წელიწადი. გაჭვეს მას ჩვენი უმოქმედობა და ეს მესამე წელი მაინც შეიქნეს მოწმე საქმის სასურველად დაწყებისა.

დიდი ბედნიერება იქნება, თეატრის აშენების მეთაურები შეუდგებოდნ საქმეს და ბეჯითად დაიწყებდნ შეგროვებას მსხვერპლს ხალ შემომწირველებსაგან.

ვისაც ცოტათი მაინც აინტერესებს სამშობლოს ავკარგი, ვისაც გული შესტივა ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავალისთვის, იმედია არ დაიშურებს თვის წვლილს ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად.

საქიროა მხოლოდ საქმის მეთაურები ამოძრავდებოდნ, ჩვენც მივივხმ რებდნ და თვითაც დავგვხმარებოდნ. საქმის დაყოვნება ხერის არ დავაყარის. რაც მეტი დრო ვაივლის, ქართველ საზოგადოებას უფრო გადაავიწყდება ქართულ თეატრის საქიროება. აღმაინი ბომ ყველაფერს ვჩვევა და მითუმეტეს ამ ხანებელ დროში ქართველი საზოგადოებაც შეეჩვევა უქართულთეატრობას. თბილისი ისედაც მშვენიერა და საზოგადოება მრავალ გასართობს იშოვის მაგრამ ჩვენთვის, ქართველთათვის აუცილებელ საქიროებას შეადგენ, რაც შეიძლება, ადრე აშენდეს ქართული თეატრი.

პროვინციისათვის ცუდი მაგალითია ამდენ ხანს თბლისში ქართულ თეატრის აუშენებლობა. ამას წინად ერთს ინტელიგენტს ველაპარაკებოდი სოფლად წარმოდგენების ხშირად მართვის საქიროებაზედ და მან შემდეგი მიპასუხა: თბილისის ორი წელიწადი ქართული თეატრი აღარ აქვს ჩვენის სცენისა და ხელოვნების ქურუმნი კარდა-კარ დაყოლობდნ და სოფლებს რა ეთეატრეწარმოდგენებო.

შეიძლება ის გაცნობდა სოფელს მტკიქირია ამ ხრითო, მაგრამ ეს მაინც მითხრავითომდა თივის გასამართლებლად: სთავი-

დანვე წყალი ამღვრეულად მიმდინარებოდა. ყველა ეს მავნებელი ჩვენი ცხოვრების წინსვლისთვის, რაც მეტად მალონებს მე საშობლოს ქირ-გარამის უჩინარს მეთვალყურესა და გულ-შემატყვიარს.

კალავდია ლ. გაბუნის ასული

ქართველი მოღვაწენი



გ. ახალციხელი

(20 წ. სამწერლო მოღვაწეობის გამო)

არიან საერო საქმის ჩუმი მუშაკნი, ხალხის წინმსვლელობის გულწრფელნი მეგობარნი, როკელთაც საზოგადო მოღვაწის ბრკევილა ნიშანი არ აკრავთ, ერთს რომელისამე დარგში ხასცენო, სამწერლო საეკლესიო თუ სხვა — „გ. მოჩენილნი“ არ არიან, მაგრამ ეარს ყოველმხრივ დაწინაურებას მთელი თვისი ძალღონით ემსახურებიან არა უკვდავი ხელისათვის, არამედ თვისი სამშობლოს გაუკვდავეებისათვის..

ერთი ასეთი ჩუმი და ყოველმხრივი მუშაკია გ. ახალციხელი, იგივე გი ახელ. რომელიც ოციწულმწადა ფიზიკური დარჯივი თ ყურს უდგებს სამშობლო ქვეყნის აჯის ცემასა და ჰის წინსვლისთვის გულწრფელად მუშაკობს.

ერის წინსვლისათვის საქიროა არა მხოლოდ დიდ-დიდ ტანიან წიგნების თზვა, სცენაზე მს ხიობობა, რომელიმე საზოგადო დაწესებულებაში პირველ მიჩენილი სავაძლის დაქერა, არამედ ყველა ამათი გავლენა-სიმდიერის ხალხში გადატანა, ჩვენი სულიერ ავლ-

დიდების გავრცელება, რომ ფართო საზოგადოება, ხალხი ეზიაროს ყოველგვარ იმას, რასაც ერთი და ორი შექმნის...

სწორედ ერთი ასეთი მუშაკთაგანია გახალციხელი.

ათი წლისა ძლიერ იქნებოდა, რომ უფროსი ძიანა და ბიძგის ზეგავლენით ხალხი აინად დაიწყო სამშობლო მწერლობის გაქნობა-შესწავლა; ცხოვრებაში გამოსვლისათვის მხნედ შეუდგა მის გავრცელებასა და თვითონაც ჩაება სამწერლო-საზოგადო შრომაში.

მისი წვრილწვრილი, სხარტულა, უხამანი მაგრამ ამავე დროს ქვეყნის უსახდრო სიყვარულით აღსავსე წვრილები ჩვენი ცხოვრების საჭირ-ბოროტო კითხვთა შესახებ ამ ოციოდ წლის განმავლობაში, ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

როგორც სათავტრო რეცენზენტს, არა ერთი და ორი წვრილი მოუთავსებია ქართული ხასიობის შესახებ როგორც ქართულს, ისევე რუსულ გამოცემულში.

მისი რაღვენიმე მოთხრობა ქართულ გამოცემაშია დაბეჭდილი, ერთი საყმაწუ. პიესა „ობოლი“ ანაკაულთში“. რუსულიდან სთარგმნა ლ. ტოლსტოის „სოცხალი გვიანი“ (ექვსჯერ ზედი ზედ დაიდგა ქართულ სცენაზე), ბაქოში სამსახურის დროს მისი ოჯახი იყო ერთი პირველი კერათაგანი, სადაც გაღვივდა ბაქოს ქართველთა მუყითი მუშაობა საქცნო, სასკოლო თუ სხვა ასპარეზზე. აქ სამსახური ა ჟამს თანამგრძობელთა დახმარებით შეადგინა „ბაქოს ქართ. წიგნების ბაზარი“ მომდევნო ახს „ქაღაბი“ და გამოსცა რაღვენიმე სახალხო იფ.ფასიანი (3—5 კ.) წიგნები: 1, „ქართული ეკლესიის აკრება“, 2, „როგორ მოიპოვა საფრანგეთის ხალხმა მათი და თავისუფლება“, 3, „ზაპარი წყლის შესახებ“, 4, „ავტონომია და ფედერაცია“, 5, „ბავშვის აღზრდა“, 6, ილიას სახსოვარი ბარათები და სხ. და ყველა ამგამოცემითა გვირგვინი „აკაკის იუბილე“ (ფერადოვანი სურათი) და „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, ვიება ტანის წიგნი, მრავალის

სურათით, საუცხოო გამოცემა, რომლის შესახებაც პრ. ალ. ხახანაშვილი სწერდა: „ეს წიგნი ყოველი შეგნებელი ქართველის საქართვების უნდა შეადგენდესო“.

მაგრამ ყველა ამაზე უფრო საყურადღებოა მისი ქართველ მწერალთა ნაწერების რუსულად ნ. თარგმები „Грузинские беллетристи вь обривахъ“-ის სათაურით: გადათარგმნილი აქვს ჩვენთა მწერალთა საუკეთესო სანიშუო ნაწარმოებნი და რუსულ გამოცემებში დაბეჭდილი ავტორთა მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებით. ეს ერთი საუკეთესო შრომათაგანია, როგორც დედნის სულის შექნობით და უცხო ენაზე საუცხოვოდ გადაღებით, ავრდევ მისი განხორციელების გემით. სამწუხარო ნხოლოდ ის არის, რომ დღემდე ეს შრომა ცალკე წიგნად არ არის გამოცემული რუსთა და სხვა საზოგადოების გასაცნობად.

რომელიმე ერის გასაცნობად მხოლოდ მის წვერთა პასპორტებს კი არ უნდა ვიხილავდეთ არამედ ამ ერის საუკეთესო შვილთა სულის შემონაქცენს.

ასეთია მწერლობის ნიშუშება და თუ ჩვენი მეზობლები თავს გამოიდებენ ხალხმე, რომ თვის მწერლები სხვათაც გააცნონ, ჩვენ სრულიად უყურადღებოდ ვსტოვებთ ჩვენის მწერლობის გავრცელებასა და მის მუშაკთა ნაამაღარს...

კაცს ფოლადის ხასიათი უნდა გქონდეს, რომ ასეთ გულცივ საზოგადოებაში მაინც მუშაობდე.

და ერთი ასეთთაგანია გ. ახალციხელი. იგი ჯერ ახალგაზდა, 40 წ., მამულის სიყვარულითა და ხალხის გათვითნობიერების ხალხით გატაცებული. იმედ ვიქონიოთ, რომ იგი ავის კულტურულ შრომას გაათვტებს მით უმეტეს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ცნუ სატყუას კაცა ბევრია, სქქმის მწენი კი მკირელი.

იოსებ არიმთიელი





დედის მოთხვა

გამწარდა ჩვენი ცხოვრება,
 ვენესა ჩვენი ძლიო,
 მზამით და გესლით საზრდოობს
 დედა, წული და ჩვილიო...
 ზოგისა-ქმარი წაივლი,
 ზოგისა სიყრმის შეილიო,
 იქ ბრძოლის ველზე დახოცილით,
 აქ დღე გვიმწარეს ტკბილიო...
 კეროში ცეცხლი ჩაგვიქრეს,
 ქირზე დაგვიროთეს ქარო,
 ჩვენი უფლებების ტაძარი
 წაბილწეს,—ამის ვსტირიო!..

ივანე ტიტუნაშვილი

რისთვის მინდა?

რისთვის მინდა ჰანგი ტკბილი,
 რისთვის მინდა ხელოვნება,
 „სევდა“ ანუ აღმუფრება,
 თუნდ მზის სხივთა ვლფარება?

თუ ჩემებრივ ყველა ვერ გრძობს
 ვერ დასტკბება, ვერ გათბება,
 ვერ მოიცავს სევდა მწარე
 და ყოველთვის ყრულ დარჩება.

თუნდა სწავლა-განათლება,
 თუ ყველას არ ეფინება.—
 რად მინდა მე?— ოხრად დაჩნეს,
 თუ მათი ტანჯვა მემბატება.

ბარ ხერხეულიძე

კამეზანი

მოწყენილია მთელი სამყარო
 მოწყენილია, ვით ჩემი სული...
 მხეც ელარ ათბობს ობოლ ქვეყანას
 სევდით სავსეა მნათობის გული.
 ერთსა კამეზანს, კამეზანს, ურვას,
 გარემოთუკავს სამყარო ვრცელი
 და მოზიარეს სოფლის ვარძისა
 მეც გულს მისუსტებს ფიქრები ზნეო!

ვ. ჯანიანი

სახალხო სახლში 28/X სახ. სახ. ანს.
 ქარ. წრე წარმადგინა მოდიერის ნ. მოქ. კომ.
 „ტარტუფი ანუ მუხმუხუღა“ თარ. ივ. მაჭა-
 ვარიანისა. როგორც მეტონევეს მოქსენება. გე-
 რომიულ კომედიის გმირების დამახასიათებელი
 თვისება სასაცილო სიტუაციაში კი არ გამოიხს-
 ტება, არამედ მათი სასაცილო მოქმედებაში. იქ
 აქტივობაში მხილდება მათი ვიწრო და ცალმხრი-
 ვი ბუნება, მათი სუსტი ხასიათი, რაც მსმენე-
 ლში იწვევს, წინააღმდეგ მხარულ სარსარისა,
 ნაღვლიან სიტყვებს, სიბრალულს. აქ თქვენ ცხოვ-
 რებას მათის ცემას გრძობთ, ნაკლებ ტიპებს.
 სასახარულად უნდა ავღნიშნო, რომ ზემოხ-
 სენებულმა წრემ, ზოგიერთის გამოკლებით, სრუ-
 ლი ადღას ადგებით გადმოთგება ეტ ნიშანდობ-
 ლივი თვისება კერძოულ კომედიისა და კერ-
 ძოთ მოდიერის „ტარტუფისა“. აქ ჩვენს წინ
 საბრალად ადამიანები სცხვარობდნენ, ბრმა მორ-
 წმუნები, მოკლებულნი ნებას და მტკიცე ხასიათს
 ხამწუხარო სასაცილო მიროვნებაში... ბრმა მორ-
 წმუნე ორგანოს განსახიერებაში მრავალი ათელი
 სახე მთავრად თავის აწინააღმდეგობით
 ბ. ნ. გოცირიძემ. წარმოდგენის დასაწყისშივე
 ეურადღების მოთვარ ფოკუსად გადაიქცა და და-
 ტრეკებულ მსმენელთ უკანსენელ ფარადმე თან
 და თან ახილამდა. ეს სასიქადულო დირსება,
 ჭეშმარიტად მას თავდასაწინა მისახიობად ქმნის
 სმიად იმდენათ ძლიერათ მისახიობის გადაცენა
 დამსწრე საზოგადებაზე, რომ მსმენელთ თავი
 ვერ დაუწყვეთათ სხვისკენად მიიღონ ეურადღა-
 ბა... მსმენელისა თავის და მათიზოთის საერთო-
 ერთო სუღიერა ქსელად გაბმა, გამართლება
 ეოველგვარ არტისტიულ საშუალებებისა,— მხო-
 ლად მაღალი ნიჭით დაჯილდოვებულ მსახიობს
 შეუძლია... ასეთივეს, მხოლოდ სხვა გზით მი-
 მავალს მსახიობს წინამთავეს ბატ. რომანი-
 შვიდი, რომელმაც ამ დამეს მდიდარი სხე ცრუ
 დთვის მითსავე ტარტუფის გადმოგვცა. ნიჭით
 ძლიერს ეოველ როლად სუბიექტიურ— არტის-

